ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №880298

ნომერი: AR1159079

თარიღი : 03.09.2013

გაცემის თარიღი : 03.09.2013

გაცნობის თარიღი : 12.09.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოსკოვის გამზირი , N1-ის წინ ; ქალაქი თბილისი , მოსკოვის გამზირი N1-ის წინ ; ქალაქი თბილისი , მოსკოვის გამზირი , N1-ის წინ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ვასაძე პ/ნ 01008005344
- თბილისი გ.შატბერაშვილის ქ. N 28

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა კორექტირება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობების მშენებლობის განხორციელებას კორექტირებული ესკიზური ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანის შესაძლებლობას.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, მოსკოვის გამზირი #1-ის წინ, შ.პ.ს. "თბილისი-94" ის კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე (საკად.კოდები N 01.17.12.003.031, N 01.17.12.003.030 და N 01.17.12.003.029), სამსახურის მიერ 31.07.2013წ. №823033 გადაწყვეტილებით თანხმობით გაცემულ I კლასის დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე კორექტირებული ესკიზური ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანის წერილობითი თანხმობის გაცემას .

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტებს, რომლის მშენებლობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური".

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შ.პ.ს. "თბილისი-94"ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები N 01.17.12.003.031, N 01.17.12.003.030 და N 01.17.12.003.029, ასევე წარმოდგენილი ფოტომონტაჟი და ესკიზური ნახაზები, ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებსქ. თბილისში, სექტორი – ისანი, მოსკოვის გამზირი #1-ის წინ, შ.პ.ს. "თბილისი-94" ის კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე (საკად.კოდები N 01.17.12.003.031, N 01.17.12.003.030 და N 01.17.12.003.029), სამსახურის მიერ 31.07.2013წ. №823033 გადაწყვეტილებით თანხმობით გაცემულ I კლასის დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე კორექტირებული ესკიზური ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანის წერილობითი თანხმობის გაცემის შესაძლებლობას.

ამასთან, შენობა-ნაგებობის მშენებლობისას ვალდებული ხართ დაიცვათ კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები:

• საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 3 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს არ შეიძლება კარის და ფანჯრის მოწყობა, ან შესაძლებელია მოეწყოს მინაბლოკი.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge